

04 Feb 2010

საქართველოს
გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო



MINISTRY OF ENVIRONMENT
PROTECTION AND NATURAL
RESOURCES OF
GEORGIA

„03“ „02“ 2010წ.
№ 07-14/349

თქვენი 20 წლის „—“ „—“
№ ————— წერილის პასუხად

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“

თქვენი 2010 წლის 20 იანვრის №04/03-176 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან მიმდინარე წლის 14 იანვარს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით წარმოდგენილია შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა“-ს ქ. თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის საპროექტო დოკუმენტაცია.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს ჩვენი სამინისტრო ერთვება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით და გაცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე. აქედან გამომდინარე, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ამდენად, ადმინისტრაციული წარმოების ვადის ათვლა იწყება მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან და მის მიერვე ხორციელდება დაინტერესებული პირების ინფორმირება ამის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენი მოსაზრებები მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს.

სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა, სამინისტროსა და დოკუმენტაციის მომამზადებელ ფირმას შორის, რომლის დროსაც გამოთქმული იქნა პრინციპული ხასიათის შენიშვნები და დაევალა აღნიშნულ ფირმას გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება დოკუმენტის სამინისტროში წარმოდგენამდე.

დამატებით მოგახსენებთ, რომ ვინაიდან ავჭალის 354 მოსახლის ერთობლივ წერილზე (2009 წლის 10 დეკემბერი) საკონტაქტო პირად მითითებული იყო ბატონი ვაჟა ბესელია და 2009 წლის 29 დეკემბერს დამატებით მოგვმართა თხოვნით, რათა რეაგირების გარეშე დაგვეტოვებინა ზემოაღნიშნული 2009 წლის 10 დეკემბრის წერილი, შესაბამისად სამინისტროს მიერ მოხდა ავჭალის 354 მოსახლის მიერ მითითებული საკონტაქტო პირისათვის წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის უკან დაბრუნება.

03-114

სამინისტრო მოქმედებს რა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მიესალმება თქვენი ორგანიზაციის სახით კერძო სექტორის ჩართულობას სამინისტროს საქმიანობაში ურთიერთსასარგებლო საზოგადოებრივი და სახელმწიფო მიზნების მისაღწევად.



ვლადიმერ გეგელაშვილი

მინისტრის მოადგილე